Conse

სამართლებრივი სიახლეები

ავტორები: თამარ ხარაზიშვილი, ლიზი ყიფიანი

25 იანვარი, 2022 წ.

ცვლილებები სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელ კანონმდებლობაში

2021 წლის დეკემბერში საქართველოში სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელი ახალი რეგულაციები და შეზღუდვები შევიდა ძალაში, კერძოდ, ცვლილებები შეეხო „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში **„თამაშობების მოწყობის შესახებ კანონი**“) და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „**საგადახდო მომსახურების შესახებ კანონი**“) რიგ დებულებებს.
კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა, ერთი მხრივ, რიგი ვალდებულებები წარმოშვა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მიმწოდებელი პირების მიმართ და, მეორე მხრივ, ახალ სამართლებრივ სივრცეს დაუქვემდებარა მოთამაშე პირთა გარკვეული ჯგუფები.

წინამდებარე დოკუმენტით წარმოგიდგენთ არსებითი ცვლილებების მიმოხილვას.

1. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება

ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება განმარტებული იყო, როგორც აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ან/და არსებითი პროდუქციის/მომსახურების მიწოდება თამაშობის ორგანიზატორისთვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის საფუძველზე.

ცვლილებების გათვალისწინებით, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება უკვე განიმარტება, როგორც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის საფუძველზე თამაშობის ორგანიზატორისთვის ან/და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პირისთვის არსებითი პროდუქციის/მომსახურების პირდაპირი ფორმით ან/და არაპირდაპირი ფორმით მიწოდება, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ან/და რაც გავლენას ახდენს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შედეგებზე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის მონაწილეობით ან/და მისი მონაწილეობის გარეშე.

ტერმინის დაზუსტების შედეგად მივიღეთ ის, რომ რეგულირებული სფეროს მოქმედების ფარგლები გაფართოვდა და მოიცვა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება/ქმედება, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

2. არსებითი პროდუქცია/მომსახურება

ცვლილება ასევე შეეხო არსებითი პროდუქციის/მომსახურების ტერმინის განმარტებასაც, 2022 წლის 1 თებერვლიდან აღნიშნული ტერმინი განიმარტება, როგორც საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ისეთი პროდუქცია ან/და მომსახურება, რომელიც მოიცავს აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებს (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებს), შემთხვევითი რიცხვების გენერირების პლატფორმას (RNG), ჯეკპოტის პლატფორმას, სათამაშო პლატფორმას (მათ შორის, სერვერს/სერვერებს, რომელზედაც/რომლებზედაც უშუალოდ ხდება თამაშის შედეგის გამოვლენა), მოთამაშეთა ბაზას, ფინანსურ ბაზას/სისტემას, მენეჯმენტის სისტემას, სათამაშო აპარატებს ან/და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა პროდუქციას ან/და მომსახურებას და რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ან/და რომელიც გავლენას ახდენს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შედეგებზე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის მონაწილეობით ან/და მისი მონაწილეობის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი იდენტურად განიმარტებოდა ცვლილებებამდეც, ცვლილებით მისი მოქმედების არეალის გაფართოება მაინც მოხდა, ვინაიდან ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, არსებითი პროდუქციის/მომსახურების ბლანკეტურად დატოვებული ნაწილი მხოლოდ შემდეგს გულისხმობდა: „(...) ან/და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა პროდუქციას ან/და მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ თავისი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებასთან."

კანონპროექტის თანახმად აღნიშნული ცვლილება „ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ნორმების განჭვრეტადობასა და სათამაშო ინდუსტრიაში საგადახდო პოლიტიკის გაუმჯობესებას."

ცვლილებების თანახმად, საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 1 თებერვლამდე უნდა უზრუნველყოს არსებითი პროდუქციისა და მომსახურების ნუსხის დამტკიცება, თუმცა ჯერჯერობით აღნიშნული ნუსხის თაობაზე დამატებითი სახით რაიმე ინფორმაცია ცნობილი არ არის.

3. მოთამაშე

ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით მოთამაშე იყო პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით, ხოლო 2022 წლის მარტიდან ასამოქმედებელი რედაქციის მიხედვით, მოთამაშეა პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით, გარდა ამ მუხლის „ბ[1]“ და „ბ[3]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეიცვალა არა მოთამაშის განმარტება, არამედ მისი წრიდან ამოირიცხა თამაშზე დამოკიდებული და აკრძალული პირები.

თავის მხრივ, ცვლილებებით კანონმდებლობაში გაჩნდა ორი ახალი ტერმინი: ა. თამაშზე დამოკიდებული პირი და 2. აკრძალული პირი. თამაშზე დამოკიდებული პირი განიმარტა, როგორც ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დაუძლეველი სურვილი და დამოკიდებულება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე და, რომლის შესახებ მონაცემები შეტანილია ამ მუხლის „ბ[2]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამოკიდებულ პირთა სიაში, ხოლო აკრძალული პირის ტერმინი მოიაზრებს პირს, რომელსაც ეკრძალება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილეობა, მათ შორის, თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში.

კანონი ამავე კანონის მიზნებისთვის აკრძალული პირის უფრო დეტალურ დეფინიციას შეიცავს, კერძოდ ასეთ პირებად მიიჩნევიან:

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებული პირი (მათ შორის,„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი);

2. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მარეგულირებელ ორგანოში დასაქმებული პირი;

3. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებული პირი;

4. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

4. მონაცემთა ბაზის წარმოება

2021 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, ორი ახალი მონაცემთა ბაზა უნდა შეიქმნას:

1. დამოკიდებულ პირთა სია, რომელიც კანონმდებლობის თანახმად განიმარტება, როგორც აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზა, რომელშიც პირის თაობაზე მონაცემები შეიტანება მოსამართლის ბრძანების ან თავად ამ პირის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის –შემოსავლების სამსახურისთვის მიმართვის საფუძველზე;

2. აკრძალულ პირთა სია, რომელიც მასში აღრიცხავს აკრძალული პირების მონაცემებს.
   გარდა აღნიშნულ სიათა განმარტებისა, „თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში გაჩნდა ახალი მუხლი, კერძოდ 7[1] მუხლი, რომელიც ამ სამართლებრივ საკითხს დაარეგულირებს.

მუხლი შეიცავს დათქმებს იმის შესახებ, თუ ვინ აწარმოებს ბაზებში მონაცემების შეტანას. კანონმდებლობის თანახმად, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიას აწარმოებს შემოსავლების სამსახური.

კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობაზე ხდება აკრძალულ პირთა სიის წარმოების უფლებამოსილების დელეგირება, ხოლო ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით რეგულირდება დამოკიდებულ პირთა სიის წარმოების წესი.

კანონით არის გათვალისწინებული ის საფუძვლები, თუ რა საფუძვლებით უნდა მოხდეს დამოკიდებულ პირთა სიაში პირის მონაცემების შეტანა, კანონის მიხედვით ესენია: ა) თავად პირის მიმართვის საფუძველზე, რომელიც შემოსავლების სამსახურს წარუდგენს განაცხადს დამოკიდებულ პირთა სიაში საკუთარი მონაცემების შეტანის თაობაზე; ბ) მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

იმის გათვალისწინებით, რომ დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის შესახებ მონაცემების შეტანა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქეობა შეწყდა, დამოკიდებულ პირთა სიიდან პირის შესახებ მონაცემები ვადაზე ადრე ამოიღება. იგივე შედეგი დადგება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე დამოკიდებულ პირთა სიაში ამავე პირის თაობაზე მონაცემების შეტანიდან არაუადრეს 3 წლისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იკრძალება დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში შეტანილი პირის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან მომგებიან თამაშობაში) მონაწილეობისთვის დაშვება.

5. მომსახურებები, რომელთა გაწევაც იკრძალება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ

2021 წლის 14 დეკემბრის ცვლილებები ასევე შეეხო „თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტსაც, რომლითაც გათვალისწინებული იყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის სათამაშო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის აკრძალვის შესახებ დებულება. ამავე რედაქციის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა მინისტრი (შემდგომში „**ფინანსთა მინისტრი**“) უფლებამოსილი იყო დაედგინა შემთხვევები, როდესაც ასეთი მომსახურების გაწევა არ ჩაითვლებოდა აკრძალულ საქმიანობად. მართლაც, „საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების დაშვებული სახეების დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 1 ივნისის N180 ბრძანების (შემდგომში „**ბრძანება N180**“) 1-ლი მუხლით გათვალისწინებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის დაშვებულია აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა.

ცვლილებების თანახმად, „თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით ფინანსთა მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება იმ მომსახურებების განსაზღვრაზე, რომელთა გაწევაც ეკრძალება საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ პირს.

თუ აქამდე ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ნებადართული იყო უცხოეთში სათამაშო ბიზნესის ოპერატორისთვის კონკრეტული მომსახურებების მიწოდება, ახალი ბრძანებით უნდა განისაზღვროს პირიქით - აკრძალული მომსახურებების ჩამონათვალი. ამასთან, ამ სიის განსაზღვრა წარმოადგენს ფინანსთა მინისტრის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

ცვლილებების ინიციატორთა აზრით, „აღნიშნული ცვლილებით ფართოვდება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასა და კონტროლის მექანიზმების ეფექტურ შემუშავებას/აღსრულებას.“

წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნების მომენტისთვის ფინანსთა მინისტრს ჯერ არ დაუმტკიცებია ბრძანება, რომლითაც განსაზღვრავდა მომსახურებათა ჩამონათვალს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ის, თუ რა სამართლებრივი სტატუსი აქვს ბრძანება N180-ს. აღნიშნულ საკითხზე კომპეტენტური ორგანოები აცხადებენ, რომ დასახელებული ბრძანება ჯერ კიდევ ძალაშია და ძალაში იქნება იქამდე, სანამ ახალ ბრძანებას არ დაამტკიცებს ფინანსთა მინისტრი. თუმცა დასახელებული განცხადება სამართლებრივ ლოგიკას მოკლებულია, ვინაიდან ცვლილება განიცადა და შესაძლოა ითქვას აღარ არსებობს ის სამართლებრივი საფუძველი - კანონის შესაბამისი მუხლი, რომელიც ფინანსთა მინისტრს აძლევდა შესაძლებლობას, ამგვარი ბრძანება დაემტკიცებინა.

6. საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ პირისთვის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებისთვის ნებართვის აღება

2021 წლის 14 დეკემბრის ცვლილებების თანახმად, პირებმა, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ პირისთვის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებას, არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილისა უნდა უზრუნველყონ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის აღება. შესაბამისად 2022 წლის 1 აპრილამდე ყველა ასეთმა პირმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს მისი საქმიანობა ახალ კანონმდებლობასთან, რათა აიღოს ნებართვა.

7. თამაშობის ორგანიზატორის ვალდებულებები

2021 წლის 22 დეკემბრის ცვლილებების თანახმად, თამაშობის ორგანიზატორთა (შემდგომში „**ორგანიზატორი**“) შესახებ თამაშობის მოწყობის შესახებ კანონის 29-ე მუხლის ჩანაწერს რამდენიმე პუნქტი დაემატა, რომელთა მიხედვითაც ორგანიზატორი ვალდებულია:

1. არ დაუშვას მოთამაშის მიერ სხვა მოთამაშის სათამაშო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა/გადატანა;

2. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილზე, მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, სათამაშოდ არ დაუშვას 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილი პირები;

3. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში მოთამაშის ვერიფიკაციის დღიდან ყოველწლიურად მოახდინოს პირის ხელახალი ვერიფიკაცია;

4. თამაშობის მოწყობის ადგილზე შესულ პირთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ასაკობრივი ზღვარი

2021 წლის 22 დეკემბრის ცვლილებებით შეიცვალა ასაკობრივი ზღვარიც, კერძოდ თუ აქამდე საქართველოს მოქალაქეებისთვის ყველა სახის აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში მონაწილეობისთვის გათვალისწინებული იყო 18 წელი, ცვლილებებით ეს ასაკი გაიზარდა 25წლამდე.

ასევე აიკრძალა 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში) მონაწილეობა.

9. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებები

2021 წლის 22 დეკემბერს ცვლილებები გარდა „თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონისა, ასევე შეეხო „საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონსაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ცვლილებების განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების საჭიროება განპირობებულია „აზარტული და მომგებიანი თამაშობებიდან გამომდინარე მძიმე სოციალური ფონით საქართველოს მოსახლეობაში და ამით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირების აუცილებლობით.“
დასახელებული კანონიდან რელევანტური ცვლილებები, რომელიც სათამაშო ბიზნესს ეხება, შემდეგია:

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არა აქვს უფლება, ურთიერთობა დაამყაროს სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ უცხოურ კომპანიებთან მათ სასარგებლოდ რეზიდენტი პირების მიერ გადახდების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით;

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია არ დაუშვას თავის მიერ გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტით რეზიდენტი პირების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიის სასარგებლოდ ინტერნეტსივრცეში გადახდის განხორციელება საბარათე სქემის მიერ განსაზღვრული სათამაშო ბიზნესის საქმიანობის მაიდენტიფიცირებელი კოდის საშუალებით;

3. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ცნობილი გახდება, რომ მომხმარებელი იყენებს უცხოურ კომპანიას სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიის სასარგებლოდ რეზიდენტი პირების გადახდების განხორციელების მიზნით, მან უნდა შეზღუდოს მომხმარებლის მიერ ასეთ კომპანიასთან ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მადლობა ყურადღებისთვის!

ლიზი ყიფიანი

პარალეგალი

lizi.kipiani@conse.ge www.conse.ge

თამარ ხარაზიშვილი

პარტნიორი

tamar.kharazishvili@conse.ge www.conse.ge